კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც: მისი შეფასება საიმუდოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმუდოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმუდოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

თოთოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძვლზე; და აღიარებს ამინაგებს შხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკავშირებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქინლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯები კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შექმნასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამტეშავების საზღაურები.

2016 წლის იანვარში ბასე-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარებისთვის. თუმცა, მოიჯარებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევალიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის იჯარები არის მოკლევადიანი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში.

## **სს "კავკასიუმისტრი"**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

### **2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიზონილვა (გაგრძელება)**

#### **2.13 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)**

##### **იჯარა (გაგრძელება)**

კომპანია იჯარის ვადად მიიჩნევს იჯარის არაგაუქმებად პერიოდს, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

- ა) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; და
- ბ) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას.

#### **2.14 ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებოს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და წებადართული არ არის ფასსის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

### **3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები**

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასსის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებსა და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომელიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რამაც შესაძლოა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მოძევენო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

#### **ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

## **სს "კავკასრეესტრი"**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

### **3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (ცაგრძელება)**

#### **ა) ანარიცხები და პირობითი კალდებულებები**

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო კალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული გალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ კალდებულებების შესრულება. ანარიცხები, რომელიც ვერ აქმაყოფილებს კალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი კალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მშოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

#### **გ) გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს კალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის აღბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ანდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრულები გაეთდა.

### **4 ფული და ფულის ეკვივალენტები**

**31-დეკ-2020 31-დეკ-2019**

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	967	815
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	26,450	36,635
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	6,222	6,495
მოკლევადინი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	44,078	38,576
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>77,717</b>	<b>82,521</b>

დეპოზიტები შედგება მოკლევადინი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო განაკვეთი 0.5% - 3%-მდე შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე.

2020 და 2019 წლების მანძილზე დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-17 განმარტებით შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

### **5 დებიტორული დავალიანება**

**31-დეკ-2020 31-დეკ-2019**

სავაჭრო მოთხოვნები	81,585	47,723
გადახდილი აკანსები	4,663	145
მინუს: საქვთო მოთხოვნების რეზერვი	(27,025)	(25,752)
<b>სულ დებიტორული დავალიანება</b>	<b>59,223</b>	<b>22,116</b>

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

სს "კავკასრეესტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

---

6 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
<b>ისტორიული ღირებულება</b>			
<b>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>27,075</b>	<b>4,600</b>	<b>31,675</b>
შემცირება			
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>27,075</b>	<b>4,600</b>	<b>31,675</b>
შემცირება			
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>27,075</b>	<b>4,600</b>	<b>31,675</b>
<b>ცვეთა და გაუფასურება</b>			
<b>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(23,758)</b>	<b>(2,242)</b>	<b>(26,000)</b>
ცვეთა წლის მანძილზე	(2,258)	(690)	(2,948)
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(26,016)</b>	<b>(2,932)</b>	<b>(28,948)</b>
ცვეთა წლის მანძილზე	(930)	(690)	(1,620)
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(26,946)</b>	<b>(3,622)</b>	<b>(30,568)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>			
<b>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>3,317</b>	<b>2,358</b>	<b>5,675</b>
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,059</b>	<b>1,668</b>	<b>2,727</b>
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>129</b>	<b>978</b>	<b>1,107</b>

2020 წლის ბოლოსთვის, კომპანიას გააჩნია სრულად გაცვეთილი აქტივები, რომელთა ჯამური ისტორიული ღირებულება 26,873 ლარია (2019 წელი: 18,430 ლარი).

**სს "კავკასრეესტრი"**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

**7 არამატერიალური აქტივები**

	ლიცენზია	პომპიულური პროგრამები	სულ
<b>ისტორიული ღირებულება</b>			
<b>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>450</b>	<b>21,394</b>	<b>21,844</b>
შეძენა			
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>450</b>	<b>21,394</b>	<b>21,844</b>
შეძენა			
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>450</b>	<b>21,394</b>	<b>21,844</b>
<b>ცვეთა და გაუფასურება</b>			
<b>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(450)</b>	<b>(10,742)</b>	<b>(11,192)</b>
ცვეთა წლის მანძილზე	-	(1,467)	(1,467)
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(450)</b>	<b>(12,209)</b>	<b>(12,659)</b>
ცვეთა წლის მანძილზე	-	(1,468)	(1,468)
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(450)</b>	<b>(13,677)</b>	<b>(14,127)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>			
<b>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>10,652</b>	<b>10,652</b>
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>9,185</b>	<b>9,185</b>
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>7,717</b>	<b>7,717</b>

2020 წლის ბოლოს კომპანიას გააჩნია სრულად ამორტიზირებული ლიცენზია ღირებულებით 450 ლარი (2019 წელი: 450 ლარი).

**8 დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები**

ვალუტა	საწყისო თანხა ვალუტაში	დაფარვის ვადა	სარგებელი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
m2 უძრავი ქონება დოლარი	აშშ	61,000	07-ოქტ-2022	7.50%	218,435
<b>სულ გაუფასურების რეზერვამდე</b>				<b>218,435</b>	<b>178,021</b>
ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ანარიცხი (შენიშვნა 19)				(2,184)	(1,781)
<b>წმინდა დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები</b>				<b>216,251</b>	<b>176,240</b>

საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივებიდან იხილეთ მე-17 განმარტებით შენიშვნებში. სანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა არსებითი სხვაობა კუპონის განაკვეთისა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის.

## სს „კავკასრეესტრი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

### 9 ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში

კომპანია ფლობს სს „საქართველოექტის“ აქციათა 1.64%-ს. 2020 და 2019 წლებში კომპანიას დივიდენდი არ მიუღია. 2018 წლის განმავლობაში მიღებული დივიდენდი იყო - 2,732 ლარი. კომპანია 2017 წლის 31 დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა ბასს 39-ით, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ფინანსურ აქტივს ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგენდა დანახარჯების მეთოდით. 2018 წლის 01 ანგრიდან მაღაში შესული ფასს 9-ის მიხედვით კომპანია ვალდებულია მსგავსი ფინანსური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს სამართლიანი ღირებულებით. ვინაიდან რეალური ღირებულების შესაფასებლად საჭირო ახალი ინფორმაცია არ არის კომპანიისთვის ხელმისაწვდომი, ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფასს 9-ის ბ5.2.3 პუნქტით გთვალისწინებული გამონაცვლისის უფლება და რეალური ღირებულების მართებულ შეფასებად მიჩნია თვითდირებულება, როგორც 2018 წლის 01 იანვრის, ასევე 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### 10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31-დეკ-2020 31-დეკ-2019

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	22,041	2,769
მიღებული ავანსები	2,539	1,939
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	19	44
<b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>	<b>24,599</b>	<b>4,752</b>

### 11 გადასახდელი ხელფასის ანარიცხი

გადასახდელი ხელფასის ანარიცხი დაკავშირებულია კომპანიის ყოფილი მმართველი ორგანოს წევრების და ყოფილი თანამშრომლისთვის გადასახდელ ხელფასზე, რომელთანაც 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო დაუები (იხილეთ შენიშვნა 21.2.).

<b>ანარიცხი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	-
დარიცხვა	25,485
<b>ანარიცხი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>25,485</b>
დარიცხვა	33,487
<b>ანარიცხი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>58,971</b>

2019 წელს კომპანიამ შექმნა ანარიცხი მმართველი ორგანოს ყოფილი წევრებისთვის გადასახდელი თანხის 50% -ის ოდენობით. 2020 წელს დასრულდა სასამართლო დაგა კომპანიის მმართველი ორგანოს ყოფილი წევრების სასარგებლოდ. გადასახდელი ხელფასის დარჩენილი ნაწილის დარიცხვა განხორციელდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წელს კომპანიამ შექმნა ანარიცხი ყოფილი თანამშრომლისთვის გადასახდელი თანხის 50%-ის ოდენობით. მსგავსი შინაარსის დავებზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით მიმდინარე პერიოდში კომპანიის მოლოდინა, რომ სასამართლო დაგა 50%-ზე მეტი აღბათობით დასრულდება ყოფილი თანამშრომლის სასარგებლოდ. შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის თარიღისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია გადასახდელი ხელფასის ანარიცხი ყოფილი თანამშრომლისთვის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელი თანხის 100%-ის ოდენობით.

სს "კავკასრეესტრი"  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
თანხები მოცემულია ლარებში

## 12 საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 15,000 ცალი ნებადართული 1 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან, საიდანაც განთავსებული ჩვეულებრივი აქციის ოდენობაა 14,600 ცალი აქცია. კომპანიას 2020 წლის განმავლობაში აზალი აქციები არ გამოუშვია.

2020 და 2019 წლის განმავლობაში კომპანიას აქციონერებზე დივიდენდი არ გაუნაწილებია.

### კაპიტალის მართვა

საკუთარი კაპიტალის მართვისას (რომელსაც კომპანია განმარტავს, როგორც თავის ფას-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ წმინდა აქტივებს) კომპანიის მიზანია, შექმნას რისკების დაზღვევისთვის საკმარის ბუფერი და უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რათა მან გააგრძელოს დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა და დაგენერიროს უკუგება აქციონერებისთვის.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია აფასებს პროდუქტებისა და პროექტების თანმდევ რისკებს და შესაბამისობას კაპიტალურ ბუფერებთან; მუდმივად განახლებადი ფინანსური ანგარიშგებების წარმოებით მართვს და აკონტროლებს საკუთარი კაპიტალის შესაბამისობას რისკებთან და კაპიტალის მოთხოვნებთან.

სს "კავკასრეესტრს" საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ") უსაზღვრავს საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად სს "კავკასრეესტრის" საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგინდეს 250,000 ლარს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "კავკასეესტრის" საკუთარი კაპიტალი არის 329,443 ლარი (2019 წელი: 319,485 ლარი), შესაბამისად კომპანია აქმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს. სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნების მართვა ინტეგრირებულია კაპიტალის მართვის საერთო ჩარჩოში და კონტროლირდება დინამიურად კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

## 13 მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი

	2020	2019
სააბონენტო შემოსავალი ემიტენტებისგან	77,547	70,042
ემიტენტის აქციების გასხვისებისგან მიღებული საკომისიო შემოსავალი	41,285	47,447
ბირჟაზე გარიგების დაფიქსირების საკომისიო	19,662	179
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20,194	19,764
<b>სულ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი</b>	<b>158,688</b>	<b>137,432</b>

**სს "კავკასრეესტრი"**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

**თანხები მოცემულია ლარებში**

**14 ხელფასის ხარჯი**

**2020**

**2019**

ხელფასი	73,149	72,549
ყოფილი მმართველი ორგანოსა და თანამშრომლისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების ანარიცხი	41,857	31,856
საპენსიო შენატანის ხარჯი	1,459	1,594
პრემია	-	6,091
<b>სულ ხელფასის ხარჯი</b>	<b>116,465</b>	<b>112,090</b>

ყოფილი მმართველი ორგანოსა და თანამშრომლისთვის განაცდური ხელფასის კომპენსაციისთვის ქომპანიამ გააკეთა არაგანმეორებადი ხარჯის 100%-იანი ანარიცხი (იზიდულ შენიშვნა 11).

**15 საკონსულტაციო ხარჯი**

**2020**

**2019**

იურიდიული მომსახურება	12,150	2,500
საბუღალტრო და სხვა მომსახურება	8,402	7,750
პერსონალის ტრენინგი	-	250
<b>სულ საკონსულტაციო ხარჯი</b>	<b>20,552</b>	<b>10,500</b>

**16 სხვა ხარჯები**

**2020**

**2019**

მონაცემთა ბაზით სარგებლობის ხარჯი	4,509	409
ავტორიზაციის უფლების ხარჯი	1,500	1,500
დაზღვევა	1,378	2,755
საფოსტო ხარჯი	595	906
კომუნალური ხარჯი	-	2,901
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	4,591	2,920
<b>სულ სხვა ხარჯები</b>	<b>12,573</b>	<b>11,391</b>

**17 ფინანსური შემოსავალი**

**2020**

**2019**

შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	14,379	8,319
საბანკო დეპოზიტებისგან მიღებული პროცენტი	317	287
<b>სულ ფინანსური შემოსავალი</b>	<b>14,696</b>	<b>8,606</b>

**სს "კავკასრეესტრი"**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

**18 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)**

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის გადამდე ფლობილი ინვესტიციები	კრედიტორული დავალიანება	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	12,820 (6,583)	10,837 (8,220)	53,459 (27,423)	342 (397)	<b>77,458 (42,623)</b>
<b>2020 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)</b>	<b>6,237</b>	<b>2,617</b>	<b>26,036</b>	<b>(55)</b>	<b>34,835</b>
	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება	დაფარვის გადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	5,531 (2,883)	4,603 (3,277)	28 (20)	19,828 (8,086)	<b>29,990 (14,266)</b>
<b>2019 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)</b>	<b>2,648</b>	<b>1,326</b>	<b>8</b>	<b>11,742</b>	<b>15,724</b>

**19 ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯი**

	დაფარვის გადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	დებიტორული დავალიანება	სულ
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(1,634)</b>	<b>(25,794)</b>	<b>(27,428)</b>
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	-	5,405	5,405
წლის განმავლობაში ამოღებული თანხები	-	4,140	4,140
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(147)	(9,503)	(9,650)
<b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(1,781)</b>	<b>(25,752)</b>	<b>(27,533)</b>
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	-	8,888	8,888
წლის განმავლობაში ამოღებული თანხები	-	5,776	5,776
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(404)	(15,937)	(16,341)
<b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(2,185)</b>	<b>(27,025)</b>	<b>(29,210)</b>

## სს „კავკასრეესტრი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

### 20 შემოსავალი ერთ აქციაზე

ჩვეულებრივ შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება წლის მოგებისა და წლის მანძილზე საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის შეფარდებით. კომპანია ფლობს მხოლოდ ჩვეულებრივ აქციებს.

31-დეკ-2020 31-დეკ-2019

მოგება/(ზარალი) მიმდინარე წლისათვის	9,958	(1,792)
აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	14,600	14,600
საბაზისო	0.68	(0.12)

### 21 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

#### 21.1 დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინაღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომელიც საქართველოში უფრო არსებითა, ვიდრე სხვა ქვეწნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი აღეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხდავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქნიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებაზე.

#### 21.2 სასამართლო დავები

საანგარიშებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მიმდინარე დავები ეხება სს „კავკასრეესტრის“ ყოფილი დირექტორისა და მმართველი ორგანოს წევრების, აგრეთვე ერთ-ერთი თანამშრომლის გათავისუფლების კანონიერებასა და მათგის განაცდური ხელფასების კომპენსაციას.

აღნიშნული დავებიდან ერთ-ერთი, კერძოდ სს „კავკასრეესტრის“ ყოფილი მმართველი ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო)წევრებისთვის განაცდური ხელფასის კომპენსაციასთან დაკავშირებით 2020 წლის ნოემბერში დასრულდა სს „კავკასრეესტრის“ წინააღმდეგ, რის შედეგადაც კომპანიას დაეკისრა სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრებისთვის განაცდური ხელფასის გადახდა ჯამურად 17,712 ლარის ოდენობით.

მეორე დავის უარყოფითად დასრულების შემთხვევაში, კომპანიას დაეკისრება ყოფილი თანამშრომლის განაცდური ხელფასის ანაზღაურება (ყოველთვიური 1,000 ლარის ოდენობით 2016 წლის 01 ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე). მსგავსი შინაარსის დავებზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით კომპანიის მენეჯმენტის მოლოდინია, რომ დავა 50%-ზე მეტი ალბათობით დასრულდება ყოფილი თანამშრომლის სასარგებლოდ და შესაბამისად შექმნა გადასახდელი ხელფასის ანარიცხვი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (იხილეთ შენიშვნა 11).

სს "კავკასრეესტრი"  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
თანხები მოცემულია ლარებში

**21 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრძელება)**

**21.2 სასამართლო დავები (გაგრძელება)**

სხვა სასამართლო დავები ამჟამად განიხილება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში. პარალელურად მიმდინარეობს სარეგისტრაციო საქმის წარმოება საჯარო რეესტრში, რომელიც კავშირშია ზემოაღნიშნული დავების მიმდინარეობასთან. სს „კავკასრეესტრის“ მენეჯმენტის მოლლინია, რომ აღნიშნული დავების უმრავლესობა 50% -იან აღბათობით დასრულდება კომპანიის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დავა (ან დავები) დასრულდება კომპანიის საწინააღმდეგოდ, კომპანია არ ელოდება ისეთი სახის მატერიალურ ზარალს, რომელიც საფრთხის ქვეშ დაყენებს მის არსებობას ან გამოიწვევს მიმდინარე საქმიანობის სერიოზულ შეფერხებას.

**22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ**

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საქრედიტო რისკი: აღბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი
  - საგალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

**31-დეკ-2020 31-დეკ-2019**

<b>ფინანსური აქტივები</b>		
ფული და ფულის ეკვივალენტები	77,717	82,521
დაფარვის ვადამდე ფულობილი ფინანსური აქტივები	216,251	176,240
დებიტორული დაგალიანება	59,223	22,116
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>407,276</b>	<b>334,962</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
საგარენ და სხვა ვალდებულებები	24,599	4,752
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>24,599</b>	<b>4,752</b>

## სს "კავკასრეესტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

### 22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გავრძელება)

#### 22.1 საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომზმარებლებზე ლიმიტების დაწესებით. მომზმარებლის საკრედიტო ლიმიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომზმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31-ღეკ-2020	31-ღეკ-2019
ფული და ფულის ექვივალენტები	77,717	81,706
დაფარვის გადამდე ფლობილი ფინ. აქტივები	197,688	176,240
დებიტორული დავალიანება	59,223	22,116
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
	<b>388,713</b>	<b>334,147</b>

როგორც შენიშვნა 4 განმარტავს, ფული და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებასმიერი დებიტორული დავალიანებისა და დაფარვის გადამდე ფლობილ ინვესტიციებისათვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

#### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3-დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განვითარდება და კონტროლირებადია კომპანიის მიერ;
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად;
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში;
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წლის მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობს მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

## სს "კავკასიუმსტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

### 22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაფრძლება)

#### 22.1 საკრედიტო რისკი (გაფრძლება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა დებიტორული დავალიანებისა, ასახავს I დონეში როგორც 2020 წლის დასაწყისში, ასევე 2020 წლის ბოლოს.

დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორისა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	> 180
დარჯერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით: ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის; ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინ. აქტივებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

**სს "კავკასრეესტრი"**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

თანხები მოცემულია ლარებში

**22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)**

**22.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი**

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ამჟამად, კომპანია გეგმავს ყველა ვალდებულების შესრულებას სახელშეკრულებო ვადით. ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიის მოლოდინის თანახმად, საოპერაციო საქმიანობით მოხდება საკმარისი ფულადი სახსრების შემოღინება.

ლიკვიდურობის რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	77,717	-	-	-	<b>77,717</b>
დებიტორული დავალიანება	59,223	-	-	-	<b>59,223</b>
დაცარვის ვადამდე ფლობილი					<b>216,251</b>
ფინანსური აქტივები	18,563	197,688	-	-	
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	-	-	-	54,085	<b>54,085</b>
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>155,503</b>	<b>197,688</b>	-	<b>54,085</b>	<b>407,276</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სავაჭრო ვალდებულებები	24,599	-	-	-	<b>24,599</b>
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>24,599</b>	-	-	-	<b>24,599</b>
<b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>	<b>130,904</b>	<b>197,688</b>	-	<b>54,085</b>	<b>382,677</b>

ლიკვიდურობის რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	82,521	-	-	-	<b>82,521</b>
დებიტორული დავალიანება	22,116	-	-	-	<b>22,116</b>
დაცარვის ვადამდე ფლობილი	3,091	173,149	-	-	<b>176,240</b>
ფინანსური აქტივები					
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	-	-	-	54,085	<b>54,085</b>
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>107,728</b>	<b>173,149</b>	-	<b>54,085</b>	<b>334,962</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სავაჭრო ვალდებულებები	4,752	-	-	-	<b>4,752</b>
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>4,752</b>	-	-	-	<b>4,752</b>
<b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>	<b>102,976</b>	<b>173,149</b>	-	<b>54,085</b>	<b>330,210</b>

## სს "კავკასრეესტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

### **22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გავრძელება)**

#### **22.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი**

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	<b>31.12.2020</b>	<b>31.12.2019</b>		
<b>წლიური %-ში</b>	ლარი	ლოლარი	ლარი	ლოლარი
ფული და ფულის ეპივალენტები	2-3%	0.5-0.75%	2-3%	0.5-0.75%
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	-	5.5-7.5%	-	5.5-7.5%

#### **22.4 სავალუტო რისკი**

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

##### **ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით**

ფინანსური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	დაფარვის	ფული და ფულის	სულ
	ვადამდე	ფლობილი	ეპივალენტები
დებიტორული	ვადამდე	ფული და ფულის	სულ
დაგალიანება	ფლობილი	ფინანსური	ეპივალენტები
	აქტივები		
<b>აშშ დოლარი</b>	<b>35,508</b>	<b>216,251</b>	<b>50,299</b>
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>35,508</b>	<b>216,251</b>	<b>50,299</b>
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>302,058</b>		

ფინანსური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	დაფარვის	ფული და ფულის	სულ
	ვადამდე	ფლობილი	ეპივალენტები
დებიტორული	ვადამდე	ფული და ფულის	სულ
დაგალიანება	ფლობილი	ფინანსური	ეპივალენტები
	აქტივები		
<b>აშშ დოლარი</b>	<b>37,598</b>	<b>176,387</b>	<b>45,071</b>
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>259,056</b>		
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>37,598</b>	<b>176,387</b>	<b>45,071</b>
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>259,056</b>		

## სს "კავკასრეესტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

### 22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გავრძელება)

#### ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

ფინანსური ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
აშშ დოლარი	3,061	<b>3,061</b>
<b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>3,061</b>	<b>3,061</b>

ფინანსური ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
აშშ დოლარი	1,721	<b>1,721</b>
<b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,721</b>	<b>1,721</b>

### 23 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშვალდებული საწარმო").

ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გაყლევა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

## სს "კავკასიუმისტრი"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

### 23 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მექავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომენტით საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის გამახორციელებული. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის სელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

<b>შემოსავალი:</b>	<b>2020</b>	<b>2019</b>
ძირითადი აქციონერები	2,259	2,438
სხვა დაკავშირებული მხარეები	40,013	10,553
<b>სარჯი</b>	<b>2020</b>	<b>2019</b>
ძირითადი აქციონერები	42,618	11,132
სხვა დაკავშირებული მხარეები	344	689
<b>სელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება</b>	<b>2020</b>	<b>2019</b>
სელფასები და პრემიები	28,800	30,600
<b>მოზოგნა</b>	<b>31-დეკ-2020</b>	<b>31-დეკ-2019</b>
ძირითადი აქციონერები	360	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	35,431	214
<b>გაღდებულება</b>	<b>31-დეკ-2020</b>	<b>31-დეკ-2019</b>
ძირითადი აქციონერები	22,265	1,721
<b>ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები ნაშთი</b>	<b>31-დეკ-2020</b>	<b>31-დეკ-2019</b>
სს "საქართველოს ბანკში" განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	5,904	18,942
სს "თიბისი ბანკში" განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	49,245	48,290

## **სს "კავკასიუმსტრი"**

**ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

**თანხები მოცემულია ლარებში**

### **24 საწარმოს უწყვეტობის განხილვა**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძვლზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

### **25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე უკავშირდება ეკონომიკურ სირთულეებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებულით. თუმცა კომპანიის შემთხვევაში, მენეჯმენტი რისკებს მინიჭებს აფასებს, რადგან მისი საქმიანობა ადაპტირებულია დისტანციურ ოპერირებაზე, ხოლო ძირითად კლიენტებს წარმოადგენს ისეთი მძლავრი ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა საქმიანობაც (COVID-19)-ის ფართო გავრცელების შემთხვევაშიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული კომპანიის ოპერაციებთან. ამასთანავე, რისკების დაბალ დონეზე შეფასების დამატებით არგუმენტს წარმოადგენს კლიენტების პორტფელის დივერსიფიკაცია და ის ფაქტი, რომ (COVID-19)-ით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებს კომპანია წარმატებით გაუმქლავდა 2020 წლის განმავლობაში.

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, საგადასახადო კოდექში შესული ცვლილებების თანახმად კომპანია სავალდებულო წესით გახდა დღგ-ს გადამხდელი. თუმცა, არ არის მოსალოდნელი ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, ვინაიდან კომპანიის დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა უმნიშვნელო.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გადაიხადა ყოფილი მმართველო ორგანოს განაცდური ხელფასი, რაც დაეკისრა სასამართლო დავის დასრულების შედეგად.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

\*\*\*\*\*